ჩანგი

№ 19
შაბათი,
25 ივლისი
1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალური წერილების გადაკეთების შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილებით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან.,
ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

პოლიტიკური
ა. ბოგდანოვი ეკონომია -ზე

(მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა).

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდათ არ გამოვა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ, ვისაც ხსენებული წიგნის შეძენა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი. **ვ. გადილია.** 5—5

კვირას, 26 ივლისს
სევერიანე ივანეს ძე ჭელიძის
გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კალოუბნის ეკლესიაში 11 საათზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს განსვენებულის ძმა დათიკო ივანეს-ძე ჭელიძე. 2—1

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. ვ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^{1}/_{1}$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—20

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ფერშალი
ლ. ბარკალაია
უცრის ყვავილს, იღებს ყელჩირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

კვირას, 26 ივლისს, მთავრობის ნებართვით
სოფელ ფარცხანაყანევში
ორკლასიან სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ქართული წარმოდგენა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.
წარმოდგენილი იქნება:
1) დატრიალდა ჯარა
ვოდევილი ერთ მოქმედ.
2) ადამ და ევა
და ბოლოს **დივერტისმენტი.**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
3—2 გამგე კოტე კვერნაძე

ქ. ფოთში
ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით
●✦● იხსნება ●✦●
ქალების კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—10)

აბასთუმანში
კბილის ექიმი
✦ სამსონ ვაშაყმაძე ✦
იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

დ. სამტრედიაში
საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ევნ. **ჯაში.** ავათმყოფების მიღება **ყოველ დღე.**

თფილისი, 25 ივლისი

თფილისის გუბერნატორის მიერ მოწვეულ პირთა კრებაზე და აგრეთვე პრესაში დიდი თათბირია იმის შესახებ, თუ რა ტიპის ერობა არის ჩვენთვის საჭირო. ამის შესახებ ბევრი სხვადასხვა აზრი ტრიალებს, ყველაზე უფრო პატივსადები, ჩვენის ფიქრით, კიდევ ნამესტნიკის მიერ გამოთქმული აზრი რჩება, სახელდობრ: 1) მცირე საერობო ერთეული, 2) სამაზრო (სადაც ადმინისტრატიული დაყოფა ამიერ-კავკასიისა მიზანს არ შეეფერება, იქ შეიძლება ახალი გეგმა კულტურულ სამეურნეო მოთხოვნილების თანახმათ გამომუშავდეს) და 3) საოლქო. გაზეთი „დროება“ ემხრობა პირველ საერობო ერთეულს სავსებით და საფუძვლათ უდებს უწოდებრივობას, საყოველთაო საარჩევნო უფლებას და პრაქტიკულათ მოსახერხებელს სიმცირეს; ნაცვლათ სამაზრო ერობისა, „დროება“ ემხრობა საოლქო ერთეულს, ესე იგი თითო მაზრიდან უნდა გამოიჭრას რამდენიმე საერობო ერთეული, რომელთა კომპეტენცია ცალკე აღებული უნდა უდრიდეს სამაზრო ერობის უფლება-კომპეტენციას. საოლქო ერობა იმ სახით, როგორც ნამესტნიკის პროექტში არის აღნიშნული—„დროებას“ მიაჩნია მიზნის შეუფერებლათ და ამჯობინებს საგუბერნიო ერობას, რაც შიდა რუსეთში არსებობს. ჩვენ არაფერს ვამბობთ პირველი ტიპის ერობის შესახებ და ვეთანხმებით „დროების“ მოსაზრებას, რაც შეეხება ერობის მეორე ერთეულს, ესე იგი, მაზრიდან რამდენიმე ერთეულების გამოჭრას, ეს ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებლათ, რადგანაც ამ სახით დაქუცმაცებულ ერობას უფრო ექნება მცირე ერთეულის მსგავსება, ვიდრე სამაზროსი და სამაზრო ერობის კომპეტენცია-უფლების შესრულებას ის ვერ შესძლებს უსახსრობის გამო. ჩვენ ამ ჟამათ უფრო გვაინტერესებს მესამე ტიპის ერთეული, ნამესტნიკის მიერ წამოყენებული საოლქო (областное) ერობა, რომელიც შეიცავს მთელ ამიერ-კავკასიის ტერიტორიას და რომლის ფუნქციები განსხვავებული უნდა იქნეს საგუბერნიო ერობისაგან. ამის წინააღმდეგია „დროება“ სავსებით და მისი მიუღებლობის დამტკიცებას ორი მოწინავე წერილი უძღვნა. გავყვეთ მუხლ-და-მუხლ და გავარჩიოთ უმთავრესი საბუთები. „რა სამეურნეო მიზნებისათვის არის მაგალითად საჭირო ქუთაისის და ბაქოს გუბერნიების გაერთიანება ერთ უმაღლეს საერობო ერთეულში? ასეთი გაერთიანება შექმნის უზარმაზარ ცენტრალისტურ შენობას, რომელიც თავის ნაწილებს ვერ მოუვლის, თავის შემადგენელ ნაწილებს ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევს“. ასე ლაპარაკობს „დროების“ მეთაურის ავტორი. ამაზე შემდეგი უნდა ვუპასუხოთ: კულტურული სამეურნეო კითხვები ამიერ-კავკასიაში ბევრთაგან ბევრია, რომლებიც საერთო არიან ამიერ-კავკასიაში მკვიდრთათვის და რომლებიც მხოლოდ საერთო ძალით შეიძლება გაკეთდეს, მით უფრო მისაღებია ეს სახეში, რომ ამ საერთო კითხვებზე არც მთავრობა და არც მესამე დუმა თავს არ იტეხენ. დავასახელოთ ზოგიერთი ამ კითხვათაგანი: უმაღლესი სამეურნეო, კომერციული, ტეხნიკური სასწავლებლები და თვით უნივერსიტეტი, რომელიც სარატოვშიაც კი გაიხსნა და ჩვენ დღემდის ვერ ვეღირსეთ; ამიერ-კავკასიის რკინის გზებით მოფენა, სტატისტიკური გამოკვლევა, საფსიხიატრო საავთმ. და სხ. დაარსება. ყველა ესენი საერთო საკითხები და საერთო საქმეები არ არიან? ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამის საპასუხოთ გვეტყვიან! ყველა ეს კითხვები შეიძლება საერთო ხასიათისაც იყოს, მაგრამ ამისათვის სრულიათ არ არის საჭირო საოლქო ერობის დაარსება, არამედ საჭიროა პერიოდული შეერთებას. მაგრამ პერიოდულ შეერთებას შეუძლია ასეთი საქმეები შეასრულოს, გაუძღვეს და ცხოველი სული ჩაბეროს? ასეთი მაგალითები არც რუსეთშია და არც სხვაგან.

„დროების“ პუბლიცისტებს საზოგადოთ ცენტრალიზმის აჩრდილი აშინებს და ყოველგან ის ელანდებათ; აქაც, საუბედუროთ, სხვათა შორის, ამას ნახულობენ. რა ვქნათ, თუ ზოგან დეცენტრალიზაციაა საჭირო, ზოგან კი ცენტრალიზმი! სწორეთ ამ კითხვების გადაწყვეტაში, ამიერ-კავკასია თუ არ შეერთდა, ცალკე გუბერნია ვერ შესძლებს ვერაფერს და სხვისი შემჩერე დარჩება. „არ იქნება მეტი, ისიც ვიქონიოთ მხედველობაში, რომ არც მთავრობა, არც მესამე სათათბირო არ დათანხმდებიან—ამიერ-კავკასია გააერთიანონ ერთ წარმომადგენლობით დაწესებულებაში, მაშინვე „კავკასიის სეპარატიზმი“ მოელანდებათ“, ასეთია მეორე საბუთი „დროების“ საოლქო ერობის საწინააღმდეგოთ წამოყენებული. სწორეთ საკვირველი ხალხია „დროების“ პუბლიცისტები: როცა „რეალურ პოლიტიკის“ მომხრეთ ეკამათებიან, მაშინ საბუთათ მათ წინააღმდეგ იმას აყენებენ, რომ ნამესტნიკმა თვითონ გამოთქვა აზრი მცირე ერთეულების შესახებ, ნამესტნიკი თვითონ არ გამოდის სავსებით რუსეთში არსებული ერობის პრინციპებისგანო, და ჩვენ, რადგანაც გვეკითხებიან, რა ტიპის ერობა გსურთო, უნდა ვისარგებლოთ ამით და ვუპასუხოთ, რაც ჩვენთვის სასარგებლოა. ყოველივე ეს ავიწყდება „დროების“ მეთაურის დამწერს, როცა საოლქო ერობაზე ლაპარაკობს და საბუთათ ის მოყავს, რომ მთავრობა და მესამე დუმა არ დათანხმდებაო. ჩვენ, თვალში ამგვარი საბუთების მოყვანას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ ვერ ავაშენებთ ერობის ამა თუ იმ ერთეულების საჭიროებას იმ მოსაზრებაზე, რომ მთავრობას ეს არ მოეწონება და მასში „სეპერატიზმს“ დაინახავსო. პურიშკევიჩების თავები რას არ ჩმახავენ, რას არ მიედ მოედებიან, მაგრამ ჩვენთვის მათი აზრი არასოდეს არ უნდა იქნეს შემბორკავი, ჩვენი აზრი და საჭიროება სავსებით უნდა გამოვთქვათ.

„დროებისაგან“ წამოყენებული მოსაზრებანი საოლქო ერობის სარგებლობას და საჭიროებას ვერ არღვევენ. შეიძლება აწი წამოაყენოს რაიმე უფრო საფუძვლიანი, მაშინ მასზე ცალკე მოველაპარაკებთ, მანამდის კი, ბევრი კითხვები მიგვაჩნია საერთოთ მთელი ამიერ-კავკასიისათვის და მათ სისრულეში მოსაყვანათ მუდმივი ინსტიტუტის დაარსებაც არის საჭირო. ეს იქნება საოლქო ერობა.

* * *

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.

II.

(გაგრძელება).

ამ დიადი რევოლიუციას ბევრი ნაკლულევანებაც თან დასდევს. აქ კლასიური ბრძოლა ნაკლებ განვითარებულია და ამიტომაც ხალხის შეგნება დაბალ დონეზე გაჩერებულა. ეს ხელსაყრელია გაბატონებული კლასებისათვის და დამლუპველი მშრომელი ხალხისთვის. „მაშრუთა“-ს ძახილით ისინი ხალხს აჯადოებენ და სოციალურათ კვლავ ძველ მონობაში სტოვებენ.

ამასთან მჭიდროთ შეკავშირებულია რევოლიუციის მეორე უბედურება. როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, სპარსეთში ამ ჟამათ კაპიტალის პირველი დაგროვების ხანა წარმოებს. ძველი ცხოვრება ირღვევა, ხალხი გაღატაკებულია და თანდათან ახალ-ახალი ჯგუფები ღატაკდება და ასე, პროლეტარია რაზმი იზრდება. ახალი ცხოვრების დამკვიდრებამდე კი, ჯერ შორსაა. ფაბრიკა-ზავოდები იშვიათია, რომ გაღატაკებულთა სამუშაო ძალა შთანთქას და მათ ლუკმაპურის შოვნა გაუადვილოს. ასეთ პირობებში ყაჩაღობა და ღალატი ჩვეულებრივი მოვლენაა. ხალხი რევოლიუციის რაზმს უერთდება, ხელში თოფს იჭერს, მარა პირველ შემთხვევისთანავე ბევრი მათგანი ყაჩაღობა-შანტაჟს ეწევა, საუცხოვო დრო დაგვიდგაო, ან მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოსყიდვით გადადის და ასე, ორივე მხრით რევოლიუციას ემუქრება და ასუსტებს.

ასე თუ ისე, სპარსეთის რევოლიუცია ჯერ-ჯერობით წინ მიდის და გამარჯვებაც აქამდე მისია. მარა ნიშნავს ეს თავისუფლების სამუდამოთ განმტკიცებას და რეაქციის ძირ-ბუდიანათ ამოგდებას?

სპარსეთის დემოკრატია შინაურ რეაქციაზე ძლიერია. სპარსეთის რევოლიუციას ხალხი და არა ჯარი მიუძღვის, როგორც ეს ოსმალეთშია. ამიტომაც, სპარსეთში თავისუფლების საქმე მტკიცე საფუძველზე შენდება. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან დღეს დამარცხებული რეაქცია შეკავშირებას ეცდება და კლასიურ წინააღმდეგობათა გამწვავების შემდეგ მას ახალ-ახალი რაზმი შეეკედლება დღეს გაბატონებული კლასებიდან, უპირველესათ ხანებისა და სეიდ-სამღვდელოებისაგან, მარა ძველი რეჟიმის ბედი მაინც სამუდამოთ გადაჭრილია გათვითცნობიერებული ხალხის ძველ დესპოტიურ კალაპოტში ჩაბრუნება დიდი ხნით მაინც, ყოვლათ შეუძლებელი საქმეა.

ამით სპარსეთის რევოლიუციის ბედი მაინც არ გადაწყვეტილა: მას ხომ არა მარტო შინ, გარედანაც ემუქრებიან. სპარსეთის რევოლიუციის გამარჯვება სპარსეთის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას მოითხოვს. სანამ მის შინაურ საქმეებში გარეშე მტრები ეჩხირებიან, რევოლიუციის საქმე მუდამ გასაჭირში იქნება. შაჰის დამარცხება ამ გარეშე მტრების დამარცხებაცაა. ამიტომ ადვილათ მოსალოდნელია ამ ჟამათ იმათ უკან დაიხიონ და სპარსეთს ჯარი მოაშორონ. მარა ნიშნავს ეს იმას, რომ ძველი პლანები სამუდამოთ დაიმსხვრა და გარეშე მტრებმა სპარსეთზე ხელი აიღეს? ყველა მებრძოლი შესაფერ დროს არჩევს მოწინააღმდეგის დასამარცხებლათ და ამიტომაც სპარსეთზე ახალი თავდასხმა ახლო მომავლის საქმეა. ეს მით უფრო ადვილია, რომ ფინანსიურათ ის დღესაც დამონებულია.

საიდან უნდა ეძიოს ახალმა სპარსეთმა ხსნა?

რასაკვირველია, არა გარეშე სახელმწიფოთა დახმარებისაგან, თუნდაც ეს „ერთმორწმუნე“ ოსმალეთიც იყოს. პოლიტიკაში პოლიტიკურ—ეკონომიური ანგარიში ბატონობს და არა სარწმუნოებრივი, ნაციონალური გრძნობები. ამიტომაც ოსმალეთი, როგორც ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფო, თვისი ბაზრისა და სამფლობელოს გაფართოებას ეცდება, თუნდაც-მოწინააღმდეგე რუსეთთან შეთანხმებაც თუ ეს დრომ მოიტანა. სუსტს ამარცხებენ ამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში! სპარსეთის დემოკრატიის ხსნა მთელი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნაშია. მაშინ შეეძლება შინ გაძლიერებულ სპარსეთის ხალხს მტაცებელ სახელმწიფოთა ერთი მეორეს საწინააღმდეგო ინტერესი და მათი შეხლა-შემოხლა თავისი ბატონობის განსამტკიცებლათ გამოიყენოს.

ამ მხრივ სპარსეთს ბევრი სამუშაო აქვს, უპირველესათ წარმოების აზიური წესის მოსპობა. აღმოსავლეთის დესპოტთა, მათ შორის შაჰის ბატონობის საფუძველი, ასეთი წარმოებაა. სანამ ის ძირ-ბუდიანათ არ ამოუგდიათ, ნამდვილ გა-

ნახლებაზე ფიქრი ნაადრევია. ეს ნიშნავს სახელმწიფოს, რამდენათაც ის ძველ ეკონომიურ ორგანიზაციას წარმოადგენს, მოსპობას და მით პოლიტიკური ძალისა და წარმოების გათიშვას. მართალია, თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ხელშიაც თავმოყრილია. სხვადასხვა კაპიტალისტური წარმოება, როგორც ეს რკინის გზებია, ფოსტა ტელეგრაფი, ან თამბაქოს და არაყის მონოპოლია და სხვა, მარა აქ ეს გამონაკლია, საზოგადო კანონი კი, წარმოების კერძო პირთა კაპიტალისტთა ხელში თავის მოყრაა. სპარსეთში კი კანონით შაჰი მთელი ადგილ-მამულის მესაკუთრეა, თუმცა უმეტეს ნაწილათ სახელათ. სანამ ის არ განრისხებულა და კონფისკაცია არ მოუხდენია ხანები მუდმივი მიწათ მფლობელია, გლეხები კი მხოლოდ მუდმივი მოიჯარადრე და შაჰ—ხანებისაგან მორჩილი. სანამ ეს ძველი მდგომარეობა არ მოუშლიათ, კაპიტალიზმის გზა მუდამ დახშული იქნება. სპარსეთი „უპირველესათ კაპიტალიზმის განუვითარებლობით იტანჯება“. ამიტომაც სპარსეთის დემოკრატიის ვალია ადგილ-მამულის შაჰისა და ხანების ხელიდან გამოგლეჯა და მუდმივ მოიჯარადრე გლეხთა მესაკუთრეთ გამოცხადება.

სოციალურ საკითხს პოლიტიკური მოსდევს თან. მართალია, ხალხმა გაიმარჯვა, მარა აქ ახალი ბრძოლა იწყება. გაბატონებული კლასები—ხანები და ვაჭრები, სეიდები და სამღვდელოება ხალხის უფლებათა შეკვეცას შეეცდებიან, რომ შაჰის ბატონობის ნაცვლათ თავისი ახალი ააგონ. მართალია, ყველა „მაშრუთს„ შეჰხარის, მარა აშკარაა, ყველას თავისებურათ ესმის ეს. ამ სიტყვის პოლიტიკურ ენაზე გადაღება მხოლოდ ახლა იწყება. გაბატონებული კლასები შეეცდებიან მეჯლისში არჩევანი კვლავ ცენზით შეზღუდონ. დემოკრატიის, უპირველესათ მცირე-რიცხოვანი სოციალისტთა ჯგუფის ვალია მათი ხრიკი ნათელზე გამოაფინონ და ხალხის ამოძრავებით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრა მომავალისთვის მოიპოვონ. ქალთა საარჩევნო უფლება დღეს-დღეობით სპარსეთში, რასაკვირველია, უნიადაგოა.

ნ. რ.

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივლისი.

სპარსეთი

თეირანი. პოლკოვნიკი ლიახოვი პეტერბურგს წავიდა. ზილლი სულთანი 24 ივლისს ენზელში მივა. არდებილში გუბერნატორმა გაგზავნა სერდარ ფატხუს სალთანე ორი ასეული მხედრებით. ციხეში დაახრჩვეს 14-მდე დაპატიმრებული—მოლლები და სეიდები. ხალხის საზოგადოთ ჩამოხრჩობა მოსპეს. სახრჩობელები დაანგრიეს.

ოსმალეთი.

პარიზი. რეიტერს ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ 22 ივლისის სხდომაზე მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია 4 დღით დაუცადოს სახელმწიფოების მოლაპარაკებას კრიტოსის შესახებ. თუ ვინიცობაა მოლაპარაკების შედეგი ხელსაყრელი არ იქნება, გაეგზავნოს საბერძნეთის მთავრობას ნოტა და მოეთხოვოს გაიწვიოს კრიტოსის მილიციაში მყოფი აფიცრები.

სტამბოლი (დეპეშტა პ-ლდატა). გააგრძობენ ბიუჯეტის განხილვას. სესია დაიხურება 1 აგვისტოს. რუსეთის ელჩმა ჩარიკოვი და საფრანგეთის ბომპარი პირველი დრაგომანების თანხლებით მივიდენ პარლამენტში და ინახულეს სენატის თავმჯდომარე საიდ-ფაშა და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე—ახმედ-რიზა.

კანეია. აღმასრულებელმა კომიტეტმა ოფიციალურ ორგანოში გამოაცხადა განკარგულება, რათა კრიტოსის ნაციონალური დროშა ციხეზე ყოველ დღე აღიმართებოდეს. სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობებზე კი—კვირაობით და საზოგადოთ, უქმე დღეებში.

რუსეთი

მინსკი. მიწის მესაკუთრეთა სიეზდი სახელმწიფო საბჭოს წევრთა ასარჩევათ დანიშნულია 10 აგვისტოსათვის.

ეკატერინოსლავი. ნება დართეს ქალაქის მესამე გიმნაზია გახსნან.

გარჩინი. ნება დართეს ქალაქს გახსნას ვაჟთა გიმნაზია: 1909 წელს განზრახულია ოთხი უმცროსი კლასები გახსნან.

ხოლერა

ვალკი. ხოლერით ავათ გახდა ერთი.

პერმი. მოტოვილოხინის „ზავოდში“ ხოლერით ავათ გახდა ერთი.

პეტერბურგი. არხანგელსკში ხოლერით ავათ გახდა 4, რიგაში—2, მოკვდა 3. რიბინსკში მოკვდა 3.

ხარკოვი. ლებედინის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 15, მოკვდა 8.

პეტერბურგი. დღე-და-ღამის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა 28, მოკვდა 12. ამ ჟამათ ავათ არის 378.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. საქმის მდგომარეობა შირაზში წინანდებურათ ცუდი რჩება. საკონსულო მცველებს 50 სიპაები და ტყვიის მფრქვეველი მიემატა.

სტოკჰოლმი. 21 ივლისს ქალაქის რკინის გზებზე მოსამსახურეებმა მუშაობა აღკვეცეს, ქალაქის გზებისა და მეეტლეების მოძრაობა სრულიად შესწყდა. გაზის ქარხანას და ელექტრონის სადგურს ჯარები იცავენ.

ფრანკფურტი მაინზე. „ცეპელინი მე-2“ 23 ივლისს დილის 4 საათსა და 40 წუთზე ფრენას განაგრძობდა კელნისაკენ.

მელილია. სანოვაგეთა და ამუნიციის სამხედრო ტრანსპორტს რამდენიმე ზანგი დაეცა. რამდენიმე სალდათი დაჭრილია.

სტოკჰოლმი. მატროსთა და „კოჩეგარ-თა“ პროფესიონალურ კავშირმა გადასწყვიტა შესწყვიტონ მუშაობა სამგზავრო გემებზე, რომელნიც სტოკჰოლმის წყლებში იმყოფებიან. მიმოსვლა სამატორო ნავებზე, პაროხოდებ და საბუქსირო ნავებზე უკვე შეწყდა. გოტებორგიდან იუწყებიან, რომ იქ გაიფიცენ სასაკლაოს მუშები.

კელნი. ცეპელინი დაეშვა აქ დილის 11 საათსა და 45 წუთზე.

კოუსი. 23 ივლისს ნაშუადღევის 3 საათსა და 30 წუთზე ხელმწიფე „შტანდარტით“ რუსეთისკენ გამოემგზავრა.

კოუსი. მინისტრ იზვოლსკიმ „რეიტერის“ სააგენტოს კორესპონდენტი მიიღო, რომელმაც სთხოვა მინისტრს თავისი აზრი გამოთქვას რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. იზვოლსკიმ რამდენიმეჯერ განიმეორა, რომ ისინი კარგათ მიიღეს, ამასთან თავისი პირადი კმაყოფილება გამოსთქვა იმ ბედნიერ თანხმობის შესახებ, რომელიც ორივე მთავრობას შორის არსებობს. იზვოლსკიმ დაიწყო თავისი საუბარი ხელმწიფის მოგზაურობის პოლიტიკურ მნიშვნელობის დაფასებით და სხვათა შორის შემდეგი სთქვა: ჩვენ ორივემ, სერ ედუარდ გრეიმ და მე, გადავსწყვიტეთ ჩვენი ამასწინდელი საუბარი ოფიციალურათ არ გამოვაქვეყნოთ, მაგრამ თქვენ კითხვაზე კი შემიძლიან გითხრა, რომ ხელმწიფე მეტათ კმაყოფილათ გრძნობს თავს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გულწრფელობა, რომელიც გამოვიჩინეთ კოუსში, ბედნიერ ურთიერთობის თავმდებია. ჩვენი პოლიტიკა აშკარაა. შეთანხმება სპეციალურ საკითხების შესახებ, რომელიც მოხდა ორ სახელმწიფოთა შორის, მშვენიერ-ყველურათ გამართლდა სპარსეთის საქმეებში- რუსეთ-ინგლისის ურთიერთობას რომ ვეხები, უნდა ვთქვა, რომ იგი რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ არაა მიმართული. ხელმწიფის სტუმრობა ამტკიცებს, რომ კეთილი განწყობილება ლონდონსა და პეტერბურგს შორის არ უარყოფს ასეთსავე განწყობილებას გერმანიასა და სხვა სახელმწიფოთა შორის. შემდეგ მინისტრმა სთქვა: ჩვენ ვხედავთ ჩვენ წინ გზას მომავალ შეთანხმების განმტკიცებისას და უთანხმოების ნიშნებს არ ვხედავთ. რაც შეეხება ინგლის-რუსეთის შეთანხმებას, ამის შედეგია, რომ სპარსეთში ასე მშვიდობიანათ დასრულდა საქმე. ინგლის-რუსეთის შეთანხმებას ასეთივე შედეგი მოყვება სხვა მომავალ მოსალოდნელ საკითხების მშვიდობიანათ გადასაწყვეტათ. ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე იზვოლსკიმ სთქვა: ჩვენ გვინდა ოსმალეთში ახალი რეჟიმი განმტკიცდეს და ახლო აღმოსავლეთში საქმეები გასწორდეს. რაც შეეხება კუნძულ კრიტოსს, ამის შესახებ ოთხმა სახელმწიფომ საჭიროთ სცნო სტატუს ქვო-სა და პორტას უმაღლეს უფლებათა დაცვა. მე ვამაყობ იმით, რომ მივიღე მონაწილეობა ამ ახალი პოლიტიკის განმტკიცების საქმეში; ამის განხორციელება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ზოგიერთ გაუგებრობათა თავიდან აცდენით. წინანდელი უნდობლობა ეხლა შეცვალა და სხვადასხვა სახეს მიიღებს, როდესაც ორივე ნაცია კარგათ გაიცნობს ერთმანეთს. დასასრულ შეეხო ინგლისის საზოგადოების ერთი ნაწილის აზრს რუსეთის შესახებ. ამაზე იზვოლსკიმ სთქვა, რომ საერთოთ ინგლისის პრესის დამოკიდებულება კარგი და მეგობრულია. უკიდურესი პარტიები ყველგანაა, მაგრამ ამ შემთხვევაში უკიდურეს წრეებში გამოთქმულ შეხედულებათ ის შედეგი მოყვა, რომ ახლანდელი სტუმრობის დროს უფრო აშკარათ აღინიშნა მეგობრული ურთიერთობათ. დასასრულ იზვოლსკიმ სთქვა: დუმის წევრთა სტუმრობა თქვენში იმის აშკარა დამამტკიცებელია, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობს ორივე სახელმწიფოს შორის. ეს ფაქტი ორივე მონარქის სიტყვაში აღინიშნა.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი

ჯაშუში პატრიარქი. ხმები დადის რომ ილდიზის ქაღალდებში აღმოჩნდა საბუთები, რომლებითაც მტკიცდება, რომ მსოფლიო პატრიარქი ივაკიმე აბდულ-ჰამიდის ჯაშუში ყოფილა.

მთავრობის განკარგულება. ოსმალეთის ესკადრამ გაზეთების ცნობით, ბრძანება მიიღო მზათ იყოს კრიტოსის ნაპირებისაკენ წასასვლელათ. ფიქრობენ, რომ ეს უბრალო მანევრებია კრიტოსის მცხოვრებთა დასაშინებლათ და საქმეც მხოლოდ საზღვაო დემონსტრაციით გათავდებაო.

საინტერესო ინტერვიუ. როგორც ვიცით კონტრ-რევოლიუციის დროს ადანის პოგრომი მოხდა და მრავალი სომხები ამოჟლიტეს. ოსმალეთის პარლამენტმა დეპუტატებისაგან შემდგარი განსაკუთრებული კომისია აირჩია ადანაში მომხდარ პოგრომის გამოსარკვევათ. კომისიაში სომეხი დეპუტატი პაპიკიანიც შედიოდა. პაპიკიანი გამოძიების გათავებამდის დაბრუნდა, ხმები დადიოდა, რომ მისი წინასწარი დაბრუნება კომისიის სხვა წევრებთან უკმაყოფილებამ გამოიწვიაო. გაზეთ „ტასვირ-ეფქიარის“ რედაქტორს უნახავს პაპიკიანი და შემდეგი კითხვები მიუცია:

რედ.ქ.—კომისიამ დაათავა მუშაობა და იმიტომ დაბრუნდით თუ რაიმე უკმაყოფილება მოგივიდათ?

პაპ.—უკმაყოფილება-ბრძოლა მოგვივიდა. კომისიის მუშაობა დაითავდა.

რედ.ქ. რა მდგომარეობაში დაგხვდათ ადანა?

პაპ. ადანის [illegible] რომელიც ევროპის გაზეთებში იყო მოთავსებული,—არამც თუ გადაჭარბებულია, პირ-იქით, კიდევ ცოტაა.

რედ.ქ. რა იყო პოგრომის მიზეზი?

პაპ. რევოლიუციის შემდეგ ოსმალეთში დაიწყო მონარქიული მოძრაობა. მუფთები პროპაგანდას ეწეოდენ, რომ თავისუფლება და კონსტიტუცია ქრისტიანების მოგონილია და შარიატს ეწინააღმდეგებაო. ამან აამხედრა ბრბო ქრისტიანების წინააღმდეგ, რასაც შედეგათ პოგრომი მოჰყვაო.

რედ.ქ. რამდენია მოკლულთა რიცხვი ცნობების მიხედვით?

პაპ. ზიჰნი-ფაშის მიერ გამზადებული მოხსენებიდან სჩანს, რომ ადანაში სულ მოუკლავთ 20,008 კაცი. ამათში 620 მუსულმანია, ხოლო დანარჩენი 19,388 ქრისტიანებია.

რედ.ქ. რამდენი ხალხია დამწვარი და რას უდრის მატერიალური ზარალი?

პაპ. ახალი გუბერნატორის გამოანგარიშებით დაიღუპა ადანის მთელი საზოგადო სიმდიდრის ორი მესამედი. ყველა სახლების ერთი მეექვსედი ან დანგრეულია, ან დამწვარი.

რედ.ქ. ნაწილდება თუ არა შემოწირულება სამართლიანათ?

პაპ. დიახ; შემოწირულება ნაწილდება ქრისტიანებს შორის, რადგან დაზარალებული ისინია.

რედ.ქ. სიწყნარეა თუ არა ეხლა ადანაში?

პაპ. სიწყნარე არის, მაგრამ უმუშევრობა ხალს სასოწარკვეთილებაში აგდებს. სომხების დიდი ნაწილი ამერიკაში გადასახლებას ფიქრობს, მარა მთავრობა წინააღმდეგია და ხალხს უშლის...

სპარსეთი.

ტაგი-ზადე გუშინ წინ ბაქოს გზით თეირანში გაემგზავრა ადერბეიჯანის რევოლიუციონერების ბელადთაგანი ტაგი-ზადე. ტაგი-ზადე დანგრეული მეჯლისის ყოფილი წევრია. ის ჯერ სულ ახალგაზრდაა. მან კარგათ იცის ფრანგული ენა, ლაპარაკობს აგრეთვე ინგლისურ ენაზე, რომელიც შეისწავლა ლონდონში, სადაც ის იმალებოდა მეჯლისის დანგრევის შემდეგ. ტაგი-ზადე დეპეშით მიუწვევიათ თეირანში სეპეხდარს და სერდარ ასადს.

სათარ-ხანს ჯარების უფროსათ ნიშნავენ. ტაგი-ზადეს „ბაქოს“ თანამშრომლისათვის უთქვამს, რომ სათარ-ხანი უკვე გამოვიდა ბესტიდან, და მალე ადერბეიჯანის ჯარების უფროსათ დანიშნავენო.

თორმეტის დიქტატურა. თეირანში შედგა ეგრეთ წოდებული დროებით პასუხის მგებელი კომისია. კომისია თორმეტი კაცისაგან შესდგება და განაგრძობს

* *
*

(ვუძღვნი გ—ას).

ჩამავალი მზე, ვით ცეცხლის ბურთი,
გადმომდგარიყო მთისა მწვერვალზე
და ქვეშ ღრუბელი, ვით ბანბის ქულა,
გადაპენტილი იყო ნაძვნარზე.

ლაჟვარდ სივრცეში ცისარტყელასა
შვიდ-ფეროვანი გაევლო ზოლი,
ძირს ნაკადული მოჩქრიალებდა
ანკარა, როგორც თვალი ობოლი.

ზურმუხტ მდელოზე იჯდა ჭაბუკი,—
უსაზღვრო სივრცეს შორს გაჰყურებდა,
მას ეს დიადი სანახაობა
ვერ იზიდავდა, ვერ ატყვევებდა.

ფიქრობდა: „რაა მთელი მსოფლიო?
სივრცე უსაზღვრო, სივრცე უფსკრული,
მუდამ მმოძრავი, რასაც არა აქვს
არც დასაწყისი, არც დასასრული.

ადამიანი რა არის?—ჰია,
ამ მსოფლიოში მოხეტიალე,
რომელიც იბრძვის არსებობისთვის,
არ იცის თუ რა მოელის ხვალე“.

ვ. რუხაძე.

სატუსაღოში

(გაგრძელება)

III

სალამო უკვე იწურებოდა: კამერიდან უკვე წავიდა მზის სხივი, უძირო ცა ისევ მოსჩანს და მაღლა, სულ მაღლა. ჰაერში მობანავე ფრინველები, განსაკუთრებით მტრედები, რომლებიც ყირამალას გადადიან ცის ტალღებში, ლაღობენ, თამაშობენ. კედელ გარედან ისმის დაჭედილი ცხენების რითმიული თქარუნი—ეს მიდიან სასეირნოთ... ჰაერი ცოტათი ინძრევა ჩვენ კამერაშიც, ზღვის პირიდან ჩვენამდეც აღწევს ზღვის მიერ ნაშობი ნელი სიო... ეხლა გარეთ უნდა იყო ადამიანი, ეხლა ბუნების გულში ჩაკრული, ბუნებას უნდა სცემდე თაყვანს, ეხლა წმინდა ჰაერს უნდა ყლაპავდე, სიყვარულზე, სიხარულზე უნდა ლაპარაკობდე, ეხლა არავინ, არავინ არ უნდა გძულდეს და ამის მაგიერ კი ყირიმელი თათარი ალის გვერდით ზიხარ და ისმენ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ ნახეს ის თხასთან მწოლარე.

ყველაზედ უფრო მძიმეა სატუსაღო სალამოს პირათ...

IV

დაღამდა. „პოვერკა“ უკვე გათავდა. ბედუინი დღეს მეტათ აღარ გვინახავს, სალამოს ლოცვაზე და „პოვერკაზე“ თვითონ უფროსი გვეწვია. ჩემთვის ისევ გაუმეორა მან ზედამხედველს, საწოლი მომცენ, მაგრამ რა თქმა უნდა, მე არ დავწვები, ჯარამედ ღამეს გავატარებ ისე, როგორც დანარჩენები—ცარიელ იატაკზე

ზახარჩუკის ალაგი უკვე ზოსიმოვმა დაიჭირა. ღამის თორმეტ საათამდე ის გვიყარაულებს, ორეშკო და მანკო კარცერიდან გამოუშვეს ჩვენთან—სულ ერთია—იქაც კარცერიაო, უთხრეს. ორეშკო მშვენიერ ცუნებაზეა, იცინის, თამაშობს, ოხუნჯობს. აი მან ჩაამწკრივა კატორღლები, რიცხვით თექვსმეტი კაცი, დააჯინა ისინი იატაკზე და ფეხები იატაკის გასწვრივ დააწყობია.

— დააწყვეთ რიგზე ბორკილები! დაიძახა მან.

ტუსაღებმა შეიხსნეს წელზე სარტყლები, რომლებითაც მიმაგრებულია ბორკილის თავი წელთან და ამ ნაირათ ჯაჭვები ხელში დაიჭირეს.

— აბა ერთათ,—იძახის ორეშკო,—მარსელიოზა!

მოხვდა რკინა რკინას. ერთ ხანს რკინის უბრალო ჟღარუნის მეტი არაფერი ისმის, მაგრამ აი, თან და თან ეჩვევა ყური, თანდან არკვევ ხმას, გესმის მწყობრი რითმი და დაბოლოს ბორკილები ჟღარუნობენ მარსელიეზის ხმაზე.

„Отречемся отъ стараго трактира,
И поидемъ мы въ новый ресторанъ“.

აყოლებს ხმას ორეშკო. იმას უერთდებიან სხვები და უცებ საკმაოთ მწყობრათ და ხმა მაღლა გაისმის.

Тамъ потребуемъ мы бутылку пива
И сдѣлаемъ мы тамъ тра-ра-рамъ...
Тра-ра-ра-ра!...

— ეს რა ამბავია... ეს რა ამბავია?.. ჩუმათ! ჩუმათ! ყვირის ზოსიმოვი და სცემს გასაღებს კარებზე,—ჩუმათ! სუმათ!

რკინა კი სცემს რკინას და ამ ჟღარუნში ისევ ისმის ძვირფასი, საყვარელი ხმა, მარსელიეზის ხმა... ორეშკო მიდის კარებისკენ და მიიმღერის:

— Тра-ра-ра!..

— ორეშკოს ბრალია ყველაფერი სიავე, მაგია ბუნტის თავი...

ჩნდება ციხის უფროსი.

— თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, ორეშკოს მეთაურობით არის ყველაფერი.

— კიდევ ერთი კვირა დარჩებით ასეთ მდგომარეობაში! მოკლეთ გვეუბნება ციხის უფროსი.

— დიდათ გმადლობთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ირონიული ქედის მოხრით აძლევს პასუხს ორეშკო.

— ორეშკო! შენი გასწორება არ მოხთა ხომ? ხომ არ გასწორდები! ხომ არა?.. იძახის გაფითრებული უფროსი.

— ის დღე არ მოგესწრებათ თქვენ, მე რომ გავსწორდე!

— ორეშკო! ჩუმათ! ზედამხედველო, შეუყარეთ ორეშკოს ხელებშიც ბორკილი.. ერთი კვირით.

— საჭმელს არ გვანებებთ და რათ მინდა თავისუფალი ხელები... დაცინვით იძახის ორეშკო.

— ჩქარა, ხელებში ბორკილი მას!

— დიდათ გმადლობთ თქვენო მაღალ კეთილშობილებავ! ორეშკო უკვე ხელფეხში ბორკილ შეყრილია, მაგრამ ის ოდნავათაც არ იწყენს, ისევ ისე მხიარულია და დამცინავი.

— იციო ამხანაგებო, პაპაშას თვალებში ცრემლი მოადგა, როცა ბორკილს მიყრიდა ხელში... რა კეთილი კაცია ჩვენი პაპაშა.

— იმით მიხთი, იმით მიხთი... შენისანა ძაღლი უნდა დაახრჩოს კაცმა..

— რათა პაპაშა, რათ მეძახი ძაღლს... მე შენთვის კარგის მეტი არაფერი მსურს... თუ ღმერთმა მომასწრო რევოლიუცია პირველ ფანარზე ჩამოგკიდებ სატუსაღოს წინ... აგამაღლებ პაპაშა!

— მანამდი შენ ორასჯერ ჩამოგკიდებენ...

— პაპაშა, აუცილებლათ შენ უნდა აგამაღლო, შენ!

— Ну довольно, კარგია კარგი! იმდაბლებს უკვე ხმას ზოსიმოვი—დაიღალა ბებერი, ეხლა მას უნდა სადმე ჩამოჯდეს, თუმცა ეს სასტიკათ აკრძალული აქვს, რადგანაც დაჯდება თუ არა ის, იმ წამსვე დაეძინება.

ორეშკო კი იწყებს სიმღერას, მის საყვარელ სიმღერას:

Намъ блаженства съ тобой,
Не дадутъ, не дадутъ,
И тебя съ красотой
продадутъ, продадутъ...

ხან ახლა იმაღლებს ხმას ზოსიმოვი და ხან ახლა თხოულობს ჩუმათ ვიყოთ.

თან და თან წყნარდება კამერა. იქით აქეთ კუთხეში თევზივით დაწყობილი ტუსაღები ნელ-ნელა იძინებენ. მხოლოთ მე ვდგევარ ეხლა ფეხზე. ეს იმიტომ, რომ, როგორც ვატყობ, ამეღამ ზედ მიწევნით ბევრ ოფლს დავღვრი. საკმაოა ცოტათი ჩამოვჯდე სადმე, რომ ერთიან ვიღვრები ოფლით. და ეს მაშინ, როცა არავითარი გამოსაცვლელი არ მაბადია.

ორ კვირაში ერთხელ დავდივართ აბანოში და მხოლოთ მაშინ შეგვიძლია გამოვიცვალოთ საცვალი. ორ კვირაში!.. ორი კვირის განმავლობაში ბალის ქერქივით იქცევა ჩემი საცვალი, ყარს, ყარს ის, გაქონილია... მე გულზე მერე-

თავის მოღვაწეობას მეჯლისის გახსნამდე. კომისიაში ერთი ფრიად განათლებული, ენერგიული და უცხო ენების კარგათ მცოდნე სომეხიც შედის.

ყოფილი შახის ვალი. ყოფილ შახს, რუსეთ-სპარსეთის სამი მილიონი მანეთი მართებს. ახალი მთავრობა თანახმაა გადაიხადოს ეს ვალი იმ პირობით, რომ სამაგიეროთ კონფისკაცია უყოს ყოფილი შახის უძრავ ქონებას.

ყოფილ შახს სპარსეთში არ ტოვებენ. ყოფილმა შახმა სთხოვა სპარსეთის ახალ მთავრობას დასტოვონ ის სპარსეთში. მთავრობამ ზრდილობიანათ კატეგორიული უარი უთხრა.

სომხების სოფელზე თავდასხმა. ყოფილი შახის ჯარის ნაწილი თავს დაესხა სომხების სოფელს, რომელიც შახის რეზიდენციის ახლო მდებარეობს. მცხოვრებლები კაზაკების მისვლამდე თვითონ იცავდენ თავს. სამხედრო მინისტრმა ეფრემას ჯარიდან ფიდაების რაზმი გაგზავნა დაუყოვნებლივ. ფიდაების დანახვაზე „პაგრომშჩიკები" გაიქცენ. რამდენიმე მათგანი ბესტში ჩაჯდა.

სამწუხარო შემთხვევა. სოფელ შეირნარში, სადაც რევოლიუციონერების ძლიერი რაზმია დაბანაკებული, ღამით ვიღაც მგზავრი მივიდა. მზვერავებმა ის ბანაკში არ შეუშვეს. რაზმის უფროსმა მას სახელი და გვარი გამოჰკითხა.

— მე ბალათური ვარ და ეს ჩემი ამალაა—უპასუხა მგზავრმა.

ბალათურის გაგონებამ ყველა მეტათ ააღელვა. მოსცვივდნენ მგზავრს, გადმოიღეს ცხენიდან და ცემა-ტყეპით რევოლიუციონერებთან წაათრიეს. გზაში მან გონება დაჰკარგა. სასიკვდილოთ მიგდებული მგზავრის გარშემო მთელი ბანაკი შეიკრება და აი, აქ გამოირკვა, რომ მგზავრი ბახტიარების ცნობილი ბელადი სერდარ ბოლათურია, რომელიც სეპეხდარის მინდობილობით მათთან მოსალაპარაკებლათ მივიდა რევოლიუციონერებს კი ყოფილი შახი ცნობილი ხულიგან-დიქტატორი ემირ-ბოლათური ეგონათ. როცა ეს გამოირკვა, რევოლიუციონერების მწუხარებას საზღვარი არ ქონდათ.

რუსეთი.

რექტორების და დორექტორების სიეზდი. 15 აგვისტოს მოხდება ყველა უნივერსიტეტების რექტორების და უმაღლეს სპეციალური სასწავლებლების დირექტორების სიეზდი. სიეზდი განიხილავს მთავრობის მიერ შემუშავებულ უნივერსიტეტების წესდების ახალ პროექტს.

სახალხო უნივერსიტეტების მოღვაწეობა. პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება ამ ბოლო ხანებში უფრო ენერგიულათ შეუდგა თავის მოღვაწეობას, უმთავრეს აუდიტორიებს გარდა გახსნა რამდენიმე კურსები ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში, კურსები ბუჰგალტერიის, ნემეცური ენის, მათემატიკის და რუსული ენის. მუშებისათვის ტეხნიკური ცოდნის მისაცემათ საზოგადოებამ ლითონის ქარხნის შენობაში გახსნა ტეხნიკური და საზოგადო ცოდნის მიმცემი კურსები, გახსნა აგრეთვე კურსი პეტერბურგის მხარეზე, სადაც მრავალი ბავშვი ესწრებიან. ამ კურსის პროგრამა სამ-წლიანია და უდრის რეალური სასწავლებლის პროგრამას. ოხტის კურსები ახალ გეგმაზე გადააკეთეს. გარდა კურსებისა საზოგადოებამ შეადგინა ლექტორთა ჯგუფი, რომლებიც ქალაქის სხვა და სხვა აუდიტორიებში შესაფერ ლექციებს კითხულობენ.

„პაგრომშჩიკის" განთავისუფლება. ვინმე შულეიკო რომელსაც გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ქონდა გადაწყვეტილი ებრაელების პაგრომის საქმეში, სრულიათ განთავისუფლეს.

დეპუტატი ოდესიდან. გადაცვლილ პერგამენტის მაგიერ ოდესაში პროგრესისტებმა ნაფიცი ვექილი ბროდსკის კანდიდატურა წამოაყენეს. ბროდსკი თავის თავს ზომიერ კადეტათ აღიარებს.

გადასახლებულთა მდგომარეობა. „რუსკოჲე სლოვოს" კორესპონდენტი აღწერს, თუ რა ცუდათაა მოწყობილი თავის ნებით გადასახლებულთა საქმე.

თავის ნებით გადასახლებულთა რიცხვი თან და თან მატულობს. უსურიის მხარიდან დაწყებული ირკუტსკამდე მატარებლები სავსეა გადასახლებულებით. მატულობს აგრეთვე უკან დაბრუნებულთა რიცხვი. ბრუნდებიან ისეთები, ვინც ორი-სამი წელი დაჰყო შორეულ-აღმოსავლეთში; ისეთებიც, ვისაც გზაში ან იქ მოსვლისას შვილები დაეხოცათ.

— წავედით უკეთესი ცხოვრების საძებრათ, მიწის საშოვნელათ და მიწის მაგივრათ სამარე ვიშოვეთო.

რაც გააჩნდათ სულ მცირე ფასში გაყიდეს და გატყავებულნი, შვილებ დაკარგულნი ბრუნდებიან ისევე უკან სასოწარკვეთილებაში მყოფნი.

და ეს იმიტომ, რომ თავის ნებით გადასახლებულთა საქმის მოწყობა ამ ათი წლის განმავლობაში სრულიად წინ არ წაწეულა. გადასახლებულები გადადიან მეტ ნაწილათ საქონლის მატარებლებით, სადაც „კლოზეტები" არ არის და საშინელი უსუფთაობის გამო ათას გვარი სენი ვრცელდება რაც მუსრს ავლებს მათ, მეტადრე ბავშვებს.

ამგვარათ გრძელდება შორეულ აღმოსავლეთში „მკვდარ სულებთა" გადასახლება, რაც აუარებელ ხარჯათ უჯდება ხაზინას, ხოლო თითონ გადასახლებულთ კი—ბავშვთა სიკვდილი და დაუსრულებელი ტანჯვა-წამება.

საზღვარ-გარეთ

რევოლიუცია ისპანიაში. მდგომარეობა ისევ საშიშარია. მოსალოდნელი ამბების გამო დიდი მზადებაა კოროლის და მისი ოჯახობის ინგლისში გასაგზავნათ. სოციალისტების ბელადმა განუცხადა მთავრობას, რომ თუ მთავრობა აკრძალავს ომის საწინააღმდეგო კრებებს, მაშინ მთელ ისპანიაში საერთო გაფიცვა იქნება გამოცხადებულიო. რკინის გზით მიმოსვლა სრულიათ შეწყდება და ჯარების გაგზავნა შეუძლებელი იქნებაო. რევოლიუციონური მოძრაობა პროვინციებს მოედო. ტარასში გაფიცულებმა აიძულეს ჯარი უკან დაეხიათ. შეაჩერეს 40 მატარებელი. რამდენიმე პროვინცია რევოლიუციის ალშია გახვეული.

იაპონია ჩინეთს ემუქრება. ბერლინის გაზეთების სიტყვით, იაპონია ჩინეთს დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტით ემუქრება, თუ ჩინეთი უარს იტყვის იაპონიის წინადადებაზე მუკდენში რკინის გზის გაყვანის შესახებ.

გარტინგი თავს იმართლებს, „რეჩის" სიტყვით, გარტინგს ერთი თავის ნათესავის საშუალებით გადაუცია ბრიუსელის პრესისთვის, რომ ბურცევის ცნობები მის შესახებ სრული სიცრუეაო. ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ მე დღემდის რუსეთის მთავრობის სამსახურში ვითვლებიო.

სოც. დემოკრატები და სასახლე. ამას წინეთ ვიურტემბერგის (სამხრეთ გერმანიაში) ლანდტაგის წევრებმა ბადენის ტბაზე გაისეირნეს. გასეირნება კოროლის სასახლეში, რომელიც ოჯახობით საზაფხულოთ იყო, სადილით დამთავრდა. დეპუტატთა შორის შვიდი სოც. დემოკრატი დეპუტატი იყო, რომლებმაც სხვებთან ერთად. მიიღეს კოროლის მიპატიჟება და ეწვიენ მას. ამ შემთხვევამ მთელი აყალ-მაყალი გამოიწვია პარტიულ პრესაში ვიურტემბერგის ს.-დემოკ. პარტიის ცენტრალურმა ორგანომ სასტიკათ გაჰკიცხა კოროლთან მოსადილე სოციალისტები. გაზეთის აზრით კოროლის სასახლეში სოციალისტებს არას დროს ადგილი არ უნდა ქონდეთ. ჩვენ ვერ მივმხდარვართ—სწერს ის—თუ რატომ ადგენ ფეხზე სოციალისტები, როცა კოროლის სადღეგრძელოს სვამდენ. ხმები დადის, რომ ამ ინციდენტს პარტიული სასამართლო გაარჩევსო, რომელმაც უნდა გარჩიოს კითხვა: აქვს თუ არა სოც. დემოკრატებს უფლება პირადი დამოკიდებულება იქონიონ მართვა გამგეობის ამა თუ იმა წარმომადგენლებთან.

ვიურტემბერგის ლანდტაგის დეპუტატების უმეტესობა, როგორც ვიცით, ოპორტიუნისტებისაგან შესდგება.

წერილი ჟენევიდან

ამ დღეებში გ. ვ. პლეხანოვმა წაიკითხა ფრიად საყურადღებო რეფერატი ეგრეთ წოდებულ „ღმერთის მაძიებლებზე რუსეთში". რეფერატმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენლებზე და ეს არც გასაკვირველია თუ მივიღებთ მხედველობაში აღნიშნული საკითხის ღრმა ანალიზს, რომლის მსგავსიც ჯერ თითქმის არავის მოუცია და მასთან, მის მჭერმეტყველობას და შეზამილ-შეხამებულ ენა-მსხვილობას. რეფერატი დანიშნული იყო საღამოს ცხრის-ნახევრისთვის წმინ. პეტრეს შენობის უდიდეს ზალაში, რომლის ავსებაც მხოლოთ გ. ვ. პლეხანოვის და მის მსგავს რეფერენტებს თუ შეუძლიათ. რვის ნახევარზე ზალა უკვე გაჭედილი იყო ხალხით, რომელიც დიდის ალტაცებით მოელოდა საინტერესო რეფერენტს, ყველა მოუთმენლათ მოელოდა მის დანახვას. ვისაც საათი ჰქონდა, მუდამ დასჩერებოდა და ამ ჟამათ მისთვის სატრფიალო ცხრის ნახევარს მოელოდა, ვისაც არა—ის სცენისაკენ იყურებოდა და მოუთმენლათ მოელოდა იმ წამს, თუ როდის აიხდებოდა ფარდა, რომ სცენაზე დაენახა ის, ვინაც მას გულის ფანცქალი აუტეხა. ზოგს ის სულაც არ ყავდა ნახული და მისი შეხედვა საკითხზე უფრო მეტათ აინტერესებდა, ზოგს კი ერთიც და მეორეც.

კიდევ რამოდენიმე წამი და ფარდის ახდის დროც მოაწევს, ზალაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას სცენისკენ აქვს თვალები მიპყრობილი, კიდევ რამოდენიმე წუთი და ფარდაც შეინძრა, რასაც გაცხარებული ტაშისცემა და „ბრავოს" ძახილი მოყვა. ხანგრძლივი ტაშის-ცემის შემდეგ კვლავ სიჩუმეა, რომელიც დაარღვია პლეხანოვის შემდეგმა სიტყვებმა „ბ. ბ. გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე"-ო, რომლის მოლოდინშიაც მოუჯდა მაგიდას. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა პეტრე მასლოვი, რომელმაც ტაშის-ცემასა და „ბრავოს" ძახილში დაიკავა თავის ადგილი.

რეფერატი ორი ნაწილისაგან შესდგებოდა—პირველ ნაწილში, რომელიც მეტის-მეტი მდიდარი იყო მასალებით, სავსებით დაასურათა თუ რა არის რელიგია, საიდან წარმოიშვა ის, რამ შეუწყო ხელი მის განვითარებას, რა შეადგენს მის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს, ვასთვის არის ის საჭირო და სხ... მეორე ნაწილში კი შეეხო—დღევანდელ ეგრეთ წოდებულ „ღმერთის მაძიებელს" ჩვენში—მათ მიზანს, მათ მოქმედებას და სხვ,..

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელია მისი მოთავსება, რაც რეფერენტმა ილაპარაკა; მე შემიძლია მხოლოთ მოკლეთ და ისიც უმთავრესი ადგილები მოვიყვანო, მხოლოთ რაც შეეხება მრავალ საბუთებს და საზოგადოთ, მდიდარ მასალის გადმოცემას—ეს კი ძნელია.....

რელიგია—ეს მიფია ყოველგვარ ფაქტებს მოკლებული, მან ვერ შესძლო ესა თუ ის ბუნების მოვლენები, რომლითაც მის ცხოვრებაზე ასეთი თუ ისეთი გავლენა ქონდათ, აეხსნა, გაერკვია, დაესაბუთებია, მიეგნო ჭეშმარიტი მიზეზისათვის და ამ რიგათ, ბუნების რომელიმე ძლიერი მოვლენის წინაშე ის ქედს იხრის. მას რაღაც უდიდეს მიუწდომელ ძალას აწერს და მის ძლიერებას გუნდრუკს უკმევს. ამ რიგათ, რელიგიის უმთავრეს ნაწილს ეს ანემიზმი შეადგენს. როგორც გოგირდის სიმჟავეს ვერ წარმოვიდგენთ უგოგირდოთ, ისე რელიგიას უანემიზმოთ, აიღეთ მაგალითად გოგირდის სიმჟავე და გამოაცალეთ მას გოგირდი—თქვენ დაინახავთ, რომ დანარჩენ ნაწილებს არავითარი მსგავსება არ ექნებათ გოგირდის სიმჟავესთან; აგრეთვე რელიგიაც—გამოაცალეთ მას ანემიზმი და თქვენ დაგრჩებათ ის ნაწილები, რომელთაც არავითარი მსგავსება არ ექნებათ რელიგიასთან და ასე ანემიზმი რელიგიის ერთ უმთავრეს და აუცილებელ ნაწილათ აღიარა რეფერენტმა. ის აქ შეეხო როგორც ქრისტიანულს ისე სხვა რელიგიებსაც და მკაფიოთ და მარტივათ დაასაბუთა, რომ ანემიზმი ყოველი რელიგიის უმთავრესი ნაწილია. აქვე გაარჩია ბუდდიზმი, რომელიც ზოგიერთ მეცნიერთა აზრით ვითომც მოკლებული უნდა იყვეს ანემიზმს. რეფერენტმა აქაც მრავალი საბუთებით დაამტკიცა, რომ ეს ნაკლი ბუდდიზმის უმთავრესი ნაწილია...

ბურჟუაზია გაურბის რელიგიას, როდესაც ის ძლიერია, როდესაც ის ფეხმაგრათ ბატონობს, ყოველგვარ საფრთხესა და შიშს მოკლებული არხეინათ განაგრძობს თავის ნეტარ ცხოვრებას, მაგრამ იგივე კლასი გულში იხუტებს, მუხლს იდრეკს მის წინაშე, როდესაც ის სუსტია, როდესაც მას ეშინია, როდესაც მას მოსვენებას არ აძლევს გამოღვიძებული ხალხი თავისუფლებისა და საერთო ბედნიერების გზაზე უშიშრად მდგომი; ამ ხალხის გამარჯვება, თუნდაც ოდნავი, მის დამარცხებას მოასწავებს, ამისათვის არის, რომ გაბატონებული კლასი ამ დროს ყოველგვარ იარაღს კიდებს ხელს და რელიგიაც ხომ ერთი უმთავრესი იარაღთაგანია მათთვის ხალხისაკენ მიმართული... ვიღუპებით, გაირყვნა ხალხი, დაივიწყეს ღმერთი, პატიოსნება, სათნოება და სხ... აი რას მოსთქვამენ ისინი. აი რაზე გოდებენ მათი სულის კვეთების გამომხატველნი; ის აქ შეეხო: ბერდიაევს, სტრუვეს, მერეჟკოვსკის, მინსკის, ლუნაჩარსკის და სხ... გაარჩია თითეული ცალკე—განსაკუთრებით ბევრი აცინა დამსწრენი მერეჟკოვსკის შესახებ. ამ „სოციალისტს" საშინლად ეშინია სიკვდილისო—სთქვა მან. ის ვერ შერიგებია იმას, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, ის რაღაც უბრალო მინდვრის ყვავილათ უნდა გადიქცეს, რომელსაც შეუბრალებლად ფეხ-ქვეშ გათელვენ არც ჭიად გადაქცევა აკმაყოფილებს ბ. მერეჟკოვსკის. აქ მოიყვანა მისი სიტყვები მოსკოვში ფილოსოფიურ საზოგადოებაში მოხსენების დროს ნათქვამი.

ისტორიული ფაქტია, რომ ქრისტე აღსდგა, ქრისტე კი კაცი იყო, რატომ არ შეიძლება მეც აღვსდგეო დაასკვნის მერეჟკოვსკი. ბ. მერეჟკოვსკის იქვე შენიშნეს შემდეგი: ბ. მერეჟკოვსკი, თუ ისტორიული ფაქტია ქრისტე და მისი აღდგომაც ისტორიული ფაქტია მაშასადამე ისიც, რომ ქრისტე ქალწულისაგან იშვა, ხოლო რაც შეეხება თქვენს ქალწულისაგან დაბადებას, მაგისი კი ჯერ არავის არაფერი გვსმენიაო. ლუნაჩარსკი—თავის თხზულების დასაწყისში გვპირდება, რომ არავითარ ღმერთზე არ ვილაპარაკებო, მაგრამ მისი წიგნის ბოლოში ღმერთს ვინ ჩივა, ღმერთებიც შემოგვთავაზაო, მართალია; ლუნაჩარსკის რელიგია სულ სხვაა, დღეს ანემიზმს მოკლებულია, მაგრამ რაა მისი თავმდები, რომ ხვალ ის იმავე ღმერთებით და ანგელოზ-ეშმაკებით არ გაივსოს როგორც სხვა რელიგიებიო.

ბ. მინსკიმ სანამ ხელწერილი არ მიიღო ერთ ჩვენ ამხანაგისაგან მის შესახებ, რომ სოციალიზმისა და რელიგიის შეთანხმება შეიძლება მანამდის „Начало"-ს რედაქტორობა არ იკისრაო.

რამ შეაშინა ეს ხალხი? ზოგს (რასაკვირველია, ყველა ეს რეაქციის წყალობით) დაეკარგა იმედი იმის განხორციელების, რისთვისაც თავისუფლების მაძიებარი ხალხი იბრძოდა და შეშინებული ასეთი წარმათი სურვილისათვის რელიგიას ჩაებღაუჭა თავის სანუგეშოდ. ზოგს კი, პროლეტარიატის უკან დახევა მოელანდა და მის შესაჩერებლად სოციალიზმს რელიგიის მანტიაში გახვეულს აწვდის (ლუნაჩარსკი) გაბატონებულ კლასი კი მას ებღაუჭება, როგორც საუკეთესო იარაღს პროლეტარიატთან საბრძოლველად.

თქვენ რყვნით პროლეტარიატს გვეუბნებიან ისინი, როდესაც ჩვენ მათში შეგნება შეგვაქვს და ყოველ მოვლენასა და ნივთს თავის სახელს ვარქმევთ; მათ დიახაც არ მოსწონთ, როდესაც შეგნებული და გამოღვიძებული პროლეტარიატი გაბედულად და შეგნებულათ აფასებს იმ იარაღს, რომელსაც ამდენ ხანს მის დასაბრმავებლათ და ტყავ-გასაძრობათ ხმარობდენო; მათ არ მოსწონთ, როდესაც პროლეტარიატს ყოველგვარი მორალი ზეციდან ძირს ჩამოაქვს და სანეტარო საიქიოს მოლოდინში ბატონთა წინაშე ძველებურად ქედს არ იხრის, მათ სასიამოვნოთ ოფლს არ ღვრის, სიცოცხლეს არ ესალმება... დეე, მათთვის დაგვითმია ზეცა, რომელზედაც ისინი ჩვენ გვითითებენ, მისი სასუფეველიო, ხოლო რაც შეეხება აქ, ძირს, დედამიწაზე, მალე დადგება ის დრო, როდესაც მიწიერი სასუფეველი დაარსდებაო და წელი გამართული ის კაცობრიობის პროგრეს წინ გაუძღვებაო—დაათავა რეფერენტმა თავისი რეფერატი, რასაც გაცხარებული ტაშის ცემა და „ბრავოს" ძახილი მოყვა. ოპონენტათ არავინ ჩაწერილა...

ამ დღეებში ჟენევის უნივერსიტეტში წაიკითხა ერთი რეფერატი ფრანგულად ამხ. თ—იამ, აბსოლიუტური რენტის შესახებ. მან გააცნო დამსწრეთ პეტრე მასლოვის თეორია, რომელიც უარს ყოფს მარქსის აბსოლიუტურ რენტას იმ სახით, როგორც ეს მარქს აქვს—რეფერატის კითხვა სამ დღეს გაგრძელდა. ამდენივე ხანს დისკუსიები—გამოჩენილი პროფესორი პოლიტიკური ეკონომიისა ედ. მილლო მიემხრო მასლოვის თეორიას.

ვიმუშაოთ ერთად მხნედ და გაბედულად და შეიძლება ცოტა, მაგრამ მაინც გავაკეთოთ რამე იმ საკითხებში, რომლებიც საჩქაროდ გადაჭრას თხოულობენ და ჯერ კიდევ ხელშეუხლებელნი არიან—სთქვა პროფესორმა დისკუსიების შემდეგ თავის უკანასკნელ საპასუხო სიტყვის ბოლოში.

რამოდენიმე დღეა მას შემდეგ, რაც ჟენევაში დიდის ამბით და ზეიმით იდღესასწაულეს კალვინიზმის 300 წლის იუბილეი. ყველა სახელმწიფოებიდან დაესწრენ წარმომადგენლები. ამ დღეებში ჟენევა საუცხოვო პატარძალივით მოკაზმული სავსე იყო უცხო სტუმრებით. რუსეთიდან იყვენ პერგამენტი, ბოროზდინი ტიხომიროვი და სხვ. პროფ,—ხუთმეტ კაცამდე.

ბევრი რამ იყო აღსანიშნავი ამ დღესასწაულში, მაგრამ ყველაზე უფრო კი ისტორიული კორტეჟი, სადაც წარმოადგინეს ყველა ის ფაზები ისტორიული განვითარების, რომელიც გაუვლია ეხლანდელ შვეიცარიის რესპუბლიკას ამ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში. მეფე და მისი დრო, მაშინდელი კანონები და მათი წარმომადგენელ-აღმასრულებელნი; როგორც უმაღლესი, ისე უმდაბლესი დაწესებულებანი; ექიმობა და ექიმების სწავლა-განათლება, მოსწავლენი და მასწავლებელნი, იმ თავიდან დღევანდელ უნივერსიტეტამდე; სამღვდელოება, ღვთისმეტყველნი, მეცნიერნი, ალ-

---

ვა, როგორც მთვრალს, მეკარგება მადა, მეშლება ნერვები!..

— მცირიშვილი, უკვე ათი საათია, არ შეიძლება ფეხზე სიარული? დაბალი ხმით მეუბნება სპილენძის ბაბუა.

— მაშ, რას მიბრძანებ...

— მიწექი როგორმე, როგორც სხვები.

საქმე იმაშია, რომ ზედამხედველ ზახარჩუკს დაავიწყდა ზოსიმოვისთვის ერქვა—ჩემთვის საწოლი მოეცათ. მე ვსარგებლობ ამით.

— ცემენტის იატაკზე წოლას ჩვეული არ ვარ მე, ვეუბნები ზოსიმოვს და ისევ განვაგრძობ სიარულს.

პატარა ხანს შემდეგ ზოსიმოვი იმეორებს შენიშნას.

— რას ჩამაცივდი, წადი და დამასმინე, რომ არ ვწვები...

გთხოვთ, დამანებოთ თავი.

ჩემ თავს ვუჯავრდები. განა მე არ მივეცი სიტყვა თავის თავს და სხვებს, რომ ვიქნები გულგრილი, რომ არ გავიკვირვებ არაფერს, რომ გავჩუმდები და არავის არ გავცემ პასუხს უკანასკნელ წუთამდე, სანამ კი შესაძლებელი იქნება მოთმენა!.. განა მე არ ვიცოდი, რომ ყველა სინდისზე ხელ-აღებულ და გახრწნილ ელემენტებს შევხვდებოდი ადმინისტრაციის წევრებში?.. ქორწილი ხომ არ მეგონა სატუსაღოში ჯდომა! რათ არ ვიჭერ თავს? რათ გამოველ დღეს ამდენათ მოთმინებიდან! ვის გავუჯავრდი? ვინ გავლანძღე? გადინი, რომელსაც ბედუინს ვეძახით. როცა ადამიანს აგინებ და ლანძღავ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმაში რაიმე ღირსებას პოულობ, — რა ღირსებაა თანაშემწე გადინში?.. უბრალო, ველური ჯარის კაცია, რომელიც საკუთარ დედას დაკლავს, თუ უბრძანეს. კაცი, რომელიც ხეირიანათ ვერც კი კითხულობს ანბანს, დერჟიმორდა.. ღირს განა ის იმდენათ, რომ რამდენიმე დღით ნერვები აიშალო და გონზე ვერ მოხვიდე!.. სულმდაბალი! სულმდაბალი! სულმდაბალი! რა დიდი სატანჯველი შენ შეგხვდა, რომ ვერ აიტანო!.. რა მოგივიდოდა შენ ზოგიერთების ბედში რომ ჩავარდნილიყავ... განა ეს სატუსაღოა? განა აქ ტანჯვენ ვინმეს? აქ დედას შეგაგინებენ, შეიძლება მცემონ... რას ნიშნავს ეს იმ დიდებულ ტანჯვასან, რომელსაც დღითი დღე, წლიდან წლამდე, ოც-ოცდა ხუთ წელს განიცდიდენ თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები პეტროპავლოვკაში, შლისელბურგში, ციმბირში... ვნახე რამე მე ამის მსგავსი? არა. ისინი კი... აი რას იწერებოდა ერთი მათგანი იქიდან, აი რას სწერდა ის გარეთ დარჩენილ თავის ამხანაგებს:

Тяжелый крестъ пришлось вамъ принять,
Легкій жребій мнѣ выпалъ на долю:
Трудно жить и бороться за волю,
Но легко за нее умирать!..

აი რას სწერდა ის!... მე კი... სულმდაბალი, სულმდაბალი, სულმდაბალი! სირცხვილი შენ!..

მე ავჩქარებულვარ და ერთიან ოფლით ვღვრები, კარებთან კი დგას სპილენძის ბაბუა და ისევ მიმეორებს დავწვე, ვინაიდან აკრძალულია ათი საათის შემდეგ ფეხზე დგომა.

— კარგი, კარგი პაპაშა, არ გაწყენინებ, დავწვები როგორმე.

და მე ვიკეც ფეხს კუთხეში, ვაწვები ნოტიო კედელს და თითქოს მძინავს...

ორეშკო რაღაცას ბოდავს, იცინის ძილში. იურკა კვნესის... აქა იქ ბორკილი ჩხრიალობს—რწყილი ან ბაღლინჯო კბენს, ალბათ იმ ბორკილის პატრონს. ორეშკო ისევ იცინის, ეხლა უფრო გულიანათ..

ხვ. მცირიშვილი.

ხიმიკნი, წარჩინებულნი აზნაურნი, მონადირენი მწევარ-მეძებრით, მეომარნი და მათი იარაღები ესენი ყველა იმ დროის ტანისამოსში იყვენ გამოწყობილნი. კორტეჟი მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, განსაკუთრებით ათას გვარი ტანისამოსით, რომელშიდაც ჩაცმულნი იყვენ იმ სახელმწიფოების სტუდენტობა, რომელთაც ესა თუ ის გავლენა ქონიათ შვეიცარიის ცხოვრების ისტორიაზე.

ამ კორტეჟში ღებულობდენ მონაწილეობას ქართველებიც. შთაბეჭდილებას მართლაც კარგს ახდენდენ, ქულაჯებსა და ჩოხებში გამოწყობილნი ცხენებით. სულ ათი კაცი ღებულობდა მონაწილეობას. ერთს ხელში დროშა ეჭირა წარწერით: „ქართველ სტუდენტთა საზოგადოება“ ივერია. ორი იქით აქეთ ჩოხებით, დანარჩენი უკან მიყვებოდენ მწყობრათ. ცოტა არ იყვეს, ამ შთაბეჭდილებას აქარწყლებდა იმის წარმოდგენა, რომ ქართველების შვეიცარიის ისტორიულ კორტეჟში ამ გვარი მონაწილეობა გამოდიოდა როგორც „с боку припеку“-ს იტყვიან რუსები.

რუს სტუდენტებს არ მიუღია მონაწილეობა.

„უილიბტი.“

პასუხათ „გუშაგის“ რედაქციის კოლეგიას

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „ჩანგის“ № 18-ში „გუშაგის“ რედაქციის კოლეგიის წევრნი მეკითხებიან, საიდან ჩამივარდა მე ხელში „ოტისკები“ ორი წერილის, „სორაპნის“ სტამბაში აწყობილის.

არც მე კერძოთ და არც გაზეთ „ზაკავკაზიეს“ არასოდეს არ გამოუცხადებია „ოტისკები“ ხელში ჩავიგდეთო. ჩვენ ვამბობდით მხოლოთ, რომ შინაარსი ორივე წერილის, „სორაპნის“ სტამბაში აწყობილის გაგებული გვაქვს. დღემდის მე არა ვიცოდი რა, არც ბ. მიმინოს ვინაობაზედ, არც „გუშაგის“ რედაქციის არსებობაზედ ყოველივე ეს და აგრეთვე შინაარსი ორივე წერილის პირადათ გადმომცა მე ბ. გაჩეჩილაძემ, რომელიც სრულიად ჩემთვის მოულოდნელათ შემოვიდა ჩემთან გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქციაში.

თ. გ. ი. ამირეჯიბი.

ახალი ამბები

პირველი საერობო სექციის სხდომა. პირველ საერობო სექციის სე-2 სხდომა მოხდა ქალაქის გამგეობის დარბაზში გუშინ წინ 23 ივლისს. კამათი გაიმართა ერობათა ერთეულების ტიპის შესახებ. კრებას თავმჯდომარეობდა გ. გვაზავა. კრებაზე სხვათა შორის ილაპარაკა ა. ხატისოვმა. იმის აზრით წვრილ საერობო ერთეულის გარდა უნდა დაარსდეს მეორე საფეხური—რაიონული ერთეული და მე-3—საგუბერნიო. ამასთან საგუბერნიო ერთეულში შევლენ რამდენიმე გუბერნია, თუ ამას გეოგრაფიული ან სხვა საჭიროება მოითხოვს. თავ. აბხაზის აზრით რაიონული ერთეული არ არის საჭირო. უნდა დაარსდეს წვრილი და საგუბერნიო ერთეული. მას დაეთანხმა ბ. დემიდოვიც. ესენი თავიანთ აზრს ფინანსიური მოსაზრებით ასაბუთებდენ, სახელდობრ იმით, რომ ხარჯი მეტი დააწვება უმისოდაც ღარიბ ხალხსო. ვას. ყიფიანი ციფრებით ამტკიცებდა იმ აზრს, რომ სამხარისხოვანი და ოთხ-ხარისხოვანი ერობა ხალხისთვის მეტათ ძნელი ასატანი იქნება, რადგან ხალხი ღარიბიაო. ამას გამოეკამათა ფიშერი. მისი აზრით თფილისის გუბერნია არ არის ღარიბი. ეს აშკარათ სჩანს იქიდან, რომ თფილისის გუბერნია 1 მილიონ და 200 ათასს მანეთს იხდის გადასახადს, მაშინ, როდესაც რუსეთის რომელიმე შიდა გუბერნია 700 ათასს. ი. ზურაბიშვილი 3 ხარისხოვან ერობას იცავს. ა. ქალანთარი დანამდვილებით ვერაფერს ამბობს, რადგან ჯერ დაწვრილებით მოხსენება არავის წაუკითხავს და მასალები ნაკლები გვაქვსო. თავ. ჩოლოყაშვილი ეკამათება ფიშერს და ამტკიცებს, რომ თფილისის გუბერნია მეტათ ღარიბია, მხოლოდ ესაა გადასახადებს სხვაზე მეტს აწერენო. ექიმი ლუნკევიჩი წინადადებას იძლევა ჯერ არაფერი გადაწყვიტონ, სანამ საფინანსო კომისიის გადაწყვეტილებას არ მოისმენენ. თავმჯდომარე დაასკვნის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვებს და იმ აზრს გამოთქვამს, რომ კრების უმრავლესობა წინააღმდეგია მთელი კუთხის საერთო ერობისა, ხოლო სხვა ტიპის ერობებზე დაწვრილებით რეზოლიუცია მაშინ გამოვიტანოთ, როდესაც საფინანსო კომისიის დასკვნებს გავეცნობით, რადგან ერობის ესა თუ ის ტიპი ფინანსიურ მოსაზრებათაგან არის დამოკიდებულიო. კრება დაეთანხმა თავმჯდომარეს.

◆ **ია კარგარეთელი.** მეტეხის ციხეში ერთი თვით ჩასვეს ჩვენი მემუსიკე ია კარგარეთელი. კარგარეთელს გაზეთ „ტალღის“ გამო ერთი თვე ციხეში ჯდომა მიუსაჯა სამოსამართლო პალატამ. რადგან იგი ავათაა, ციხის საავათმყოფოში მოუთავსებიათ.

◆ **სტიპენდიების განაწილება.** უკვე გაანაწილეს მირზოევის სტიპენდიები. სულ 15 სტიპენდია იქნა ამ ჟამათ დანაწილებული. ამათში 9 სომეხს შეხვდა, 2 რუსს, 1 მაჰმადიანს, ერთ პოლონელს და 2 ქართველს. ქართველების გვარები: ბესარიონ ტყემალაძე და გიორგი ჩერქეზიშვილი. სტიპენდიები, რასაკვირველია, სამართლიანათ ვერაა დანაწილებული.

◆ **მუშების დაპატიმრება.** როგორც დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველნი გაიგებენ (იხ. „მუშათა შორის“ წერილი შორაპნიდან) შორაპანში მოუკლავთ რკინის გზის დეპოს „მონტიორი“ რუხაძე. ამ საქმის გამო დაუპატიმრებიათ დეპოს 18 მუშა, რომელნიც გუშინ გაძლიერებული რაზმით თფილისში ჩამოიყვანეს და ციხეში ჩასვეს. დეპოს დანარჩენი მუშები ადგილიდან დაუთხოვიათ, გარდა 10 კაცისა. როგორც გადმოგვცეს, მკვლელობა კერძო ნიადაგზე მომხდარა.

◆ **საანგარიშო კურსები.** ტერ-სტეფანოვის წვრილი კრედიტის საანგარიშო გასამეორებელ კურსებზე მეცადინეობა 27 ივლისს დაიწყება და გაგრძელდება 9 აგვისტომდე. ეგზამენი 10 აგვისტოს მოხდება. თხოვნები მიიღება. (1 თუმანოვის ქუჩა, № 13). მასწავლებლებისთვის სწავლება უფასოა, ბაქოს კულტურული საზოგადოების ხარჯით.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 23 ივლისს მე-6 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს პოლიციელებმა და ჯარის-კაცებმა დაპატიმრეს 14 კაცი.

◆ **მებორნეთა შუამდგომლობა.** გუშინ თფილისის მებორნეებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას—მიეცეთ გამგეობიდან საჭირო ნივთები მდინარეში უბედურ შემთხვევათაგან გადასარჩენათ, რადგან ამ უკანასკნელ დღეებში მობანავეთა რიცხვმა იმატა და უბედური შემთხვევაც გახშირდა, მოსალოდნელი იყო გამგეობა, მებორნეთა თხოვნას ყურადღებას მიაქცევდა, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს—ეს ჩვენს ხელშეკრულობაში არ გვიწერიაო.

◆ **ახალი ბოქაული.** მეათე საპოლიციო ნაწილის ბოქაული ლევაშოვი, როგორც ვიცით, თფილისიდან ბაქოში გადაიყვანეს. იმის ადგილს დაინიშნა მე-9 საპოლიციო ნაწილის ბოქაული ვოკულო. მე-9 ნაწილში დროებით ლიმარიოვი დაინიშნა.

◆ **ერობის შესახებ თათბირი.** როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს ბათუმში დაუწყიათ თათბირი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

◆ **კავკასიის სამადნეულო წყლები.** როგორც იგივე სააგენტო გადმოგვცემს უმაღლესათ დამტკიცებულ იქნა მინისტრთა საბჭოს დებულება იმის შესახებ, რომ ვაჭრობის მინისტრს უფლება მიეცეს კავკასიის სამადნეულო წყლებზე 25 სამოსახლო მიწა იჯარით გასცეს, თითო ერთიდან ორ დესეტინამდე, რომ თვითეულ მათზე კურორტისთვის სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი გააშენონ ვადით 12 წელზე არა უგვიანესს.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** რედაქციამ სამგლოვიარო წერილები მიიღო დ. გოგოტიშვილისა და და დ. დოლიძისაგან ბიქტორ ბოლქვაძის გარდაცვალების გამო.

◆ **სხვადასხვა ამბები.** პოლიციამ დააპატიმრა ორი უცნობი, რომელთაც აბრალებენ, რომ სალდათის ქუჩაზე მეეზოვე პერუხანოვს რევოლვერი ესროლეს და მსუბუქათ დასჭრეს.—ნებადაურთველათ იარაღის ტარებისათვის პოლიციამ 15 მანეთით დააჯარიმა გერმანიის ქვეშევრდომი ოტო გენტგე.—პოლიციელი ანდ. ზემცოვის შეურაცხყოფისათვის 25 მან. დაჯარიმებულ იქნა ფოფ. მცხოვრები მიხეილ შერბაკოვი.

მუშათა შორის

დ. ჭიათურა. ყველასათვის ცხადია, თუ როგორ სარგებლობენ ზოგიერთი „ექსპორტიორები“ მუშების გაჭირვებული მდგომარეობით. ორიოდე სიტყვით შევეხები აქაური შავი ქვის ფაბრიკებზე მომუშავე მუშების მდგომარეობას. შავი ქვის გახსნის დღიდან დაწყებული 1905—1906 წწ.-ბამდე ყოველთვის ათას ნაირ ექსპლოატაციას ეწეოდენ მუშების კისერზე, როგორც „ექსპორტიორები“, ისე წვრილი პოდრიაჩიკ-რიადჩიკები“, კერძოთ მახსოვს, 1903 წ. თუ რა აუტანელ პირობებში ამუშავებდენ მუშებს ნოშრევან ხხეიძე და ილიკო ბახტაძე. მათ ქონდათ აღებული სამუშაო 1 მ. 20 კ. აქედან მუშებს აძლევდენ ვაგონზე 50—60 კ. ნარდით, და ვინც მათი შეხედულებით კარგი მუშა იყო, იგი დღე და ღამეში 2 მანეთს აკეთებდა. ამ დროს ხშირი იყო მუშებს შორის თავების მტვრევა სამუშაოზე გასვლის დროს. მას აქეთ გავიდა დრო და მუშებმაც იგრძნეს აუტანელი პირობები. წარუდგინეს ნ. ხხეიძეს და ბახტაძეს მუშებმა კანონიერი მოთხოვნილებები, რითაც ვერ დარჩენ ადები კმაყოფილი და შესაფერი პასუხი გასცეს იმ თავხედ მუშებს, რომლებმაც ჩაიდინეს ეს მათთვის არა სასიამოვნო საქმე. აქედან დაიწყო მუშებს და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა 1906 წლამდე. 1906 წელს როგორც სხვაგან, ისე აქაც გაიფიცენ მუშები და მოიგეს კიდეც შემდეგი უფლებები: სამუშაო ხელფასის მომატება, ე. ი. დღიურათ 2 მანეთი, 8 საათის სამუშაო დრო, და სხვა... ასეთ პირობებში მუშაობა გაგრძელდა ერთი წელი და 6 თვე. ამ ხნას განმავლობაში ბახტაძეს და მის კამპანიას არ სძინებია; მოამზადეს ნიადაგი მუშებში არევდარევის შესატანათ. ამ მიზნით მათ დღიური მუშების „არტელის“ დაარსების სურვილი აღუძრეს და მის დამტკიცებაზე კაი ძალი ფული დახარჯვია, მაგრამ ზოგიერთი შეგნებული მუშების წყალობით საქმე ჩაიშალა და ბახტაძე დარჩა იმედ გაცრუებული. როდესაც ამით მან მიზანს ვერ მიაღწია, გამოუცხადა მუშებს შეეუდგათ მისი დამტვრეული იარაღები, რომ ის გათავისუფლებია „პოდრიადჩიკობ.“ ვერავერ სარგებლობას ვერ ხედავო. მუშებიც დათანხმდენ ამ წინადადებაზე და უვარგისი იარაღები მუშებმა შეიყიდეს, ამით გათავდა საქმე. ამის შემდეგ თითონ მუშებმა დაიჭირეს პირდაპირი დამოკიდებულება კონტორებთან ვაგონების დატვირთვაში დებულობდენ 3 მანეთიდან 4 მანეთამდე. ასეთ პირობებში მუშაობას არა უშვებდა, მარა გაჩნდენ ისეთი ვაჟბატონები რომლებმაც მუშების წინააღმდეგ გამოახტუნეს პირველად ბ. პოპონდოპულო, რომელმაც ხელფასს დაუწია: 3—4 მ. ჩამოიყვანა 2 მ.—1 მ. 80 კ. თვითეული ვაგონის დატვირთვა. ამნაირათ გააჩაღეს სასტიკი კონკურენცია აქ არავისთვის დაფარული არ იყო, რომ ილიკო ბახტაძე პოპონდოპულოს ეფარებოდა უკან და ისე მოქმედებდა მუშების წინააღმდეგ. მუშებმა მოიწვიეს ბახტაძე და მოელაპარაკნენ რის შემდეგ გადასწყვიტეს შეთანხმებოდენ ბახტაძეს. მოლაპარაკების დროს ბახტაძემ ურჩია მუშებს აუცილებლათ შემოეერთებია პოპონდოპულო თუ კი ყველა სამუშევრები ძველ მუშების ხელში უნდოდათ ყოფილიყო. თუმცა-და დიდი წინააღმდეგი იყვენ პოპონდოპულოს შემოერთებაზე, მაგრამ საქმისათვის ამაზედაც დათანხმდენ მუშები და შეეკვრენ ი. ბახტაძეს და მის კამპანიას შემდეგ პირობებში:

1) ვალდებული იყო ილიკო ბახტაძე, და კამპანიას შეეერთებია ყველა სამუშევრები ერთად და არავის არ დაეწყო ცალკე მოქმედება; 2) ყოველ ორ კვირაში ფული უნდა დარიგებია მუშებისათვის;

3) ცდილიყვნენ უნდა ვაგონებზე ხელფასი მოეტებია და არ დაეკლოთ.

ვინც ამას დაარღვევდა, იმას უნდა გადაეხადა პირობის ძალით თითოეულ მუხლის დარღვევაში ჯარიმა 2000 მანეთი და სხვა... მუშების მხრივ კი უნდა ყოფილიყო საჭირო იარაღები, ფულის აღების დროს კაცის დახმარება კანტორებში და მათ სასარგებლოთ მუშებს უნდა გადაეხადა ვაგონზე 15 კაპ. და ასე, ამნაირათ უნდა ემოქმედა მუშებს და ბახტაძეს. მარა შემოერთების დროს იმის ცდაში იყო, რათა პირობების ძალით მას არაფერი შეხებოდა, ამისათვის ძველი მუშებიდან მოიმხრეს 6 კაცი და მათთან ერთად დაიწყეს „საქმის კეთება“—„კირიზიადის კანტორაში სამუშევრების გადატანა ცალკე, და კიდევაც მოხდა ეს ასე, რაც უკვე იყო ამას წინეს გაზეთის ფურცლებზე აღნუსხული. ყველა ეს მოხერხებულათ მოაწყო ბ. ბახტაძემ. მისი კამპანია მან პირველათ აქაც ბერძენი პოპონდოპულო გამოახტუნა და ამ ექვსი მუშის თანხმობით აიღეს „კირიაზიდის“ სამუშევრო და ამნაირათ მუშებთან დადებული ხელშეკრულობა ფეხქვეშ გაიღეს. ამის შესახებ მოელაპარაკეს მუშებმა და რადგანაც გამოირკვა ბერძენი 6-სი ძველ მუშით ბახტაძის გაპირებით გავიდა, აიღეს „კირიაზიდის“ სამუშაო, ამიტომ მუშებმა დაითხოვეს ილიკო ბახტაძე და მისი კამპანია სამუშევრებიდან. დღეს იმით გათამამებული, რომ პირობის ძალით მუშებს ვერაფერს დააკლებენ თამამათ დარბიან და ყველა კონტორებში თხოვნას თხოვნაზე აძლევენ დაკლებულ ფასებში სამუშევრები მისცენ მათ.

მათ არც კი სცხვენიათ და ამბობენ, რომ ყველა ის 500 ძველი მუშა ჩვენთან არიან და მოგვყვებიან სამუშაოთ. ნამდვილათ კი, მასთან ის ექვსი ძველი მუშაა, რომლებიც მათ შეაცდინეს და აღალატებინეს დანარჩენ მუშებისათვის, რასაც ახლა კიდეც ნანობენ. მათ სოფლიდან ჩამოყავთ „საიმედო“ მუშები ან რომელიმე გაჭირვებულს თუ შეხვდებიან. ხელწერილს ართმევენ, რომ ხმა არ ამოიღონ მათ წინააღმდეგ. ასე თამამათ ეწევიან მუშების წინააღმდეგ ბრძოლას ილიკო ბახტაძე და მისი კამპანია. ისინი არ კმაყოფილდებიან ასეთი მოქმედებით და ცდილობენ ყველა ის სისაძაგლე, რომელიც მათ ჩაიდინეს მუშებს მოახვიონ თავზე, არ ერიდებიან არც დაბეზღებას და არც სხვა რამ არა სასურველ მოქმედებას მუშების წინააღმდეგ: ეს „პატივცემული პირები“, რომ თვითონ სპეკტაკლათ გამოვიდნენ საზოგადოების თვალში. მაგრამ მათი მოქმედება დიდი ხნის ყველასათვის აშკარაა და არა მგონია ვინმე შეცდომაში შეიყვანონ.

ცხოვრების უკმაყოფილო.

შორაპანი აქაური მუშები ისეც არ ვიყავით კარგ პირობებში, ეხლა მთლათ ვარეს დღეში ვართ. 15 ივლისს საღამოს 10 საათზე აქ მოჰკლეს მანტიორი რუხაძე. საქმე ასე ყოფილა: ბოროტ-გამზრახველები მისულან რუხაძესთან, კარებზე დაუკაკუნებიათ, კარები ქალს არ გაუღია. რუხაძე კი ამ დროს თურმე მეორე ოთახში პირს იბანდა. ეს შეუნიშნავთ დამცემლებს, უტაცნიათ მანტიორისთვინ ხელი, გამოუყვანიათ ბაქანზე და იქვე მოუკლავთ. ამ დროს რუხაძის მეუღლე გამოვარდნილა გარეთ, უტაცნია ერთ მკვლელისათვის ხელი და სდომებია რევოლვერის წართმევა, მაგრამ მკვლელი გასხლტომია ხელიდან და გაქცეულა. 15 ივლისს ჟამაგირი მიიღო შორაპნის ყველა მოსამსახურეებმა, მეორე დღეს რუხაძის მეუღლემ სთქვა: მე მკვლელებს ვიცნობო. ადმინისტრაციას უთხრა: მოსამსახურეები დააყენე ყველა ერთათ და თუ ამათში იქნა მე ვიცნობო. ეს თხოვნა მაშინვე შეუსრულეს, ერთად დამწკრივებულ ხალხს დეპოში ქალმა ჩამოუარა სათითაოთ ყველას და ბოლოს სთქვა: მკვლელი ამათში არ არისო და წავიდა.

ამით არ გათავდა საქმე. ადმინისტრაციას გაუგზავნია დეპეშა რკ. გზის უფროსთან, რომელსაც განკარგულება მოუხდენია, რომ გაეგზავნათ ჯარი მშვიდობიანობის დასამყარებლათ. მართლაც, 19 ივლისს გვეწვია ჯარი. ჯარმა დილიდანვე ალყა შემოარტყა დეპოს. სახელოსნოში ყველას უშვებდენ, მხოლოთ უკანვე გამოსვლის ნებას არავის აძლევდნენ. რამოდენიმე საათის შემდეგ დაიწყეს მუშების ჭერა, დაიჭირეს 17 კაცი და თან მუშებს წინადადება მისცეს, რათა გაეცათ მკვლელი. ვინაიდან მუშებმა არ იცოდენ მკვლელი, „გაცემაზე“ ჯარს უარი უთხრეს. ჯარი ჯერ არ მიდის. როგორც ხმებია კიდევ უნდა დაიჭირონ რამოდენიმე მუშაო. რკინის გზის ბატალიონის სალდათები უკვე ჩამოიყვანეს, როგორც სჩანს, უნდა ესენი ამუშაონ. ასე უსამართლოთ სტანჯავენ საერთოთ ყველა მუშებს, ზოგიერთა თავზე ხელაღებული ვაჟბატონების მხეცური მოქმედებისათვის.

დაპატიმრებული მუშები იმყოფებიან ტუსაღთა ვაგონში, რომელიც სადგურთან სდგას. დანარჩენ მოსამსახურეებს, რიცხვით 150 კაცს ანგარიში გაუსწორეს და სამსახურიდან დაითხოვეს. 23 ივლისიდან მათ აკრძალული აქვთ სადგურზე გამოსვლა; ვინც ამ წესს დაარღვევს დაისჯება სამი თვით ციხეში ჩაჯდომით.

შორაპნელი მუშები.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

თფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 9|10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

ერევნამდე: სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

თფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

ბაქოდან: 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს, 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

ბორჯომიდან: 1) სამგზავრო № 7|8, დილი 6 ს. 46 წ. 7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, საღამოს 8 ს. 4 წ, (9 ს. 2 წ.).

ჯულფიდან: საფოსტო № 72|73, დილის 5 ს, 28 წ. (6 ს. 26 წ.).

ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

მცხეთიდან: მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.). საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

განცხადებანი

კბილის ექიმი
ს. ნ. მატროსოვიჩ-ისანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—1)

სიკვდილი
ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში**, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—6

ა ლ მ ე ზ ა

АЛЬМЕЗА ЕСТЬ
АЛЬМЕЗЫ НѢТЬ

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფას-დადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა თფილისში**, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—3